ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032305458-03
თარიღი: 23.02.2023 15:04
ვადა: 27.03.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01230542010 განცხადების თარიღი: 23.02.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად საკითხის გადაგზავნა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032305458-03
23.02.2023 : 15:04
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01230542010**
თარიღი: **23/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის N23.212.241 განკარგულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტს.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 23.212.241
22 / თებერვალი / 2023 წ.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2023 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.101.016060) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის:

ა) მე-2 მუხლის „უ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) სრული საპრივატიზებო საფასური – აუქციონის პროცესში დაფიქსირებული, ლოტის შეძენისთვის აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელი თანხა, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მის მიერ. საპრივატიზებო საფასური არ მოიცავს აუქციონატორის მომსახურების საფასურს"

ბ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8) ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და წარმოუდგინოს აუქციონატორს გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია"

გ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7[1] მუხლი:

“მუხლი 7[1]. სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან მუნიციპალურ ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი

1. სააგენტო, უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული ოპერატორის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი იურიდიული პირის მომართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და აუქციონის გამოცხადებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში წარმოქმნილი დაუზუსტებელი ოდენობის საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის (შემდგომში - „ნარჩენი“) პრივატიზების მიზნით, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული აუქციონის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს აუქციონში გამარჯვებულ პირს, რომელიც სააუქციონო კონკურენციისას აუქციონატორს ერთ ერთეულ (წონა, მოცულობა და სხვა) ნარჩენზე ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს და იკისრებს ვალდებულებას გადაიხადოს ყოველ ერთეულზე დადგენილი სრული საპრივატიზებო საფასური ნარჩენის შესაბამის ჯამურ ოდენობაზე გაანგარიშებით. ელექტრონული აუქციონის შესახებ სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ნარჩენის სავარაუდო ჯამურ ოდენობას.
3. აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ნარჩენის გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, აუქციონის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებული/წარმოქმნილი ნარჩენის შესაბამისი ოდენობით. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნარჩენის ფაქტობრივად გადაცემამდე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე) არანაკლებ 7 (შვიდი) დღით ადრე, გადაიხადოს ნარჩენის შესაბამისი დაუზუსტებელი ოდენობის ღირებულება, შემდგომში ოდენობის/ღირებულების დაზუსტების პირობით. ამასთან, ნარჩენის გადაცემის ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლა განხორციელდება მხოლოდ წინა ეტაპის დასრულების შემდეგ.
4. თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შესაბამის ეტაპისთვის გადახდილი სრული საპრივატიზებო საფასურის ოდენობა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემული ნარჩენების ჯამურ ღირებულებას, აუქციონში გამარჯვებულ პირს შესაბამისი სხვაობა დაუბრუნდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადასაცემი ნარჩენების დაზუსტებული ოდენობა აღემატება დაუზუსტებელს, აუქციონში გამარჯვებულ პირს ნარჩენი გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი ღირებულების დამატებით გადახდის შემდგომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში.
5. აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ნარჩენის ეტაპობრივად გადაცემა და აღნიშნულთან დაკავშირებით შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების ვალდებულება ეკისრება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულ ოპერატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შესაბამის იურიდიული პირს. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი უთანაბრდება საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას.
6. აუქციონში გამარჯვებული პირის მიმართ აღნიშნული პირის მიზეზით/ბრალით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მას არ აუნაზღაურდება შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი ბე, საპრივატიზებო საფასური და გაწეული ხარჯები.
7. ამ მუხლის მიზნებისთვის ბე-ს ოდენობა უნდა შეადგენდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნარჩენის სავარაუდო ჯამური ოდენობის ღირებულების არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება საბოლოო

ანგარიშსწორებისას, ბოლო ეტაპის შესაბამის გადახდაში. საბოლოო ანგარიშსწორებისას, თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი ბეს ოდენობა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემული ნარჩენების ჯამური ღირებულების შესაბამის ოდენობას, აუქციონში გამარჯვებულ პირს აღნიშნული სხვაობა დაუბრუნდება.

7. ამ მუხლის მიზნებისთვის, აუქციონით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური მოქმედია აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

8. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ აუქციონზე შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები"

10. სააგენტო აუქციონის გამოცხადებას, ჩატარებას და ორგანიზებას ახორციელებს ამ წესისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ამ მუხლის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ე) მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლოტის სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის გადახდის დოკუმენტი (ინვოისი), რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხაზე, გადამხდელზე, ინფორმაციას თანხის მიმღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის ნომრების მითითებით"

ვ) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) პირობების გარეშე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში იხდის შეძენილი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში - ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს. აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე შემოთავაზებულ/დასახელებულ საბოლოო ფასს"

ზ) მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში - -შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა დასაკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით"

თ) მე-12 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა აუქციონატორის მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად, ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და

გამოუხმობი საბანკო გარანტია არ უბრუნდება, ასევე, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

ი) 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ) 23-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

ლ) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3) აუქციონში გამარჯვებულის მიერ თანხის გადახდა (გარდა მომსახურების საფასურისა) ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2023 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.101.016060) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის:

ა) მე-2 მუხლის „უ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) სრული საპრივატიზებო საფასური – აუქციონის პროცესში დაფიქსირებული, ლოტის შეძენისთვის აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელი თანხა, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მის მიერ. საპრივატიზებო საფასური არ მოიცავს აუქციონატორის მომსახურების საფასურს"

ბ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8) ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და წარმოუდგინოს აუქციონატორს გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია"

გ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7[1] მუხლი:

"მუხლი 7[1]. სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან მუნიციპალურ ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი

1. სააგენტო, უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული ოპერატორის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი იურიდიული პირის მომართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და აუქციონის გამოცხადებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში წარმოქმნილი დაუზუსტებელი ოდენობის საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის (შემდგომში - „ნარჩენი“) პრივატიზების მიზნით, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული აუქციონის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს აუქციონში გამარჯვებულ პირს, რომელიც სააუქციონო კონკურენციისას აუქციონატორს ერთ ერთეულ (წონა, მოცულობა და სხვა) ნარჩენზე ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს და იკისრებს ვალდებულებას გადაიხადოს ყოველ ერთეულზე დადგენილი სრული საპრივატიზებო საფასური ნარჩენის შესაბამის ჯამურ ოდენობაზე გაანგარიშებით. ელექტრონული აუქციონის შესახებ სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ნარჩენის სავარაუდო ჯამურ ოდენობას.
3. აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ნარჩენის გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, აუქციონის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებული/წარმოქმნილი ნარჩენის შესაბამისი ოდენობით. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნარჩენის ფაქტობრივად გადაცემამდე (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე) არანაკლებ 7 (შვიდი) დღით ადრე, გადაიხადოს ნარჩენის შესაბამისი დაუზუსტებელი ოდენობის ღირებულება, შემდგომში ოდენობის/ღირებულების დაზუსტების პირობით. ამასთან, ნარჩენის გადაცემის ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლა განხორციელდება მხოლოდ წინა ეტაპის დასრულების შემდეგ.
4. თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შესაბამის ეტაპისთვის გადახდილი სრული საპრივატიზებო საფასურის ოდენობა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემული ნარჩენების ჯამურ ღირებულებას, აუქციონში გამარჯვებულ პირს შესაბამისი სხვაობა დაუბრუნდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადასაცემი ნარჩენების დაზუსტებული ოდენობა აღემატება დაუზუსტებელს, აუქციონში გამარჯვებულ პირს ნარჩენი გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი ღირებულების დამატებით გადახდის შემდგომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში.
5. აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ნარჩენის ეტაპობრივად გადაცემა და აღნიშნულთან დაკავშირებით შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების ვალდებულება ეკისრება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულ ოპერატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შესაბამის იურიდიული პირს. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი უთანაბრდება საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას.
6. აუქციონში გამარჯვებული პირის მიმართ აღნიშნული პირის მიზეზით/ბრალით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მას არ აუნაზღაურდება შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი ბე, საპრივატიზებო საფასური და გაწეული ხარჯები.
7. ამ მუხლის მიზნებისთვის ბე-ს ოდენობა უნდა შეადგენდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნარჩენის სავარაუდო ჯამური ოდენობის ღირებულების არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბოლო ეტაპის შესაბამის გადახდაში. საბოლოო ანგარიშსწორებისას, თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი ბეს ოდენობა აღემატება ხელშეკრულებით

განსაზღვრულ ვადაში აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემული ნარჩენების ჯამური ღირებულების შესაბამის ოდენობას, აუქციონში გამარჯვებულ პირს აღნიშნული სხვაობა დაუბრუნდება.

7. ამ მუხლის მიზნებისთვის, აუქციონით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური მოქმედია აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

8. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ აუქციონზე შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები"

10. სააგენტო აუქციონის გამოცხადებას, ჩატარებას და ორგანიზებას ახორციელებს ამ წესისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ამ მუხლის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ე) მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლოტის სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის გადახდის დოკუმენტი (ინვოისი), რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხაზე, გადამხდელზე, ინფორმაციას თანხის მიმღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის ნომრების მითითებით"

ვ) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) პირობების გარეშე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში იხდის შეძენილი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში - ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს. აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე შემოთავაზებულ/დასახელებულ საბოლოო ფასს"

ზ) მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში - -შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა დასაკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით"

თ) მე-12 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა აუქციონატორის მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად, ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ უბრუნდება, ასევე, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

ი) 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ) 23-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

ლ) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3) აუქციონში გამარჯვებულის მიერ თანხის გადახდა (გარდა მომსახურების საფასურისა) ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა/ შენარჩუნება.

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და ემატება მუხლი 7[1], რომლითაც დგინდება სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი.

აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დაგროვება. ამასთან, ზემოაღნიშნული რეგულაციის შემოღება ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის პროცედურის უფრო ეფექტურად შესრულებას და გაამარტივებს არსებული ნარჩენების მართვაზე მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ პრობლემურია ზემოაღნიშნული სეპარირებული ნარჩენის დაგროვება და შესაბამის საწყობში განთავსება. მითითებული პროცედურა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი იურიდიული პირის მხრიდან გარკვეული ხარჯების გაღებასა და მუნიციპალური რესურსების გამოყენებასთან. წინამდებარე ცვლილება მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას აღარ განათავსოს ზემოხსენებული სეპარირებული ნარჩენი მუნიციპალურ საწყობში და მითითებული ცვლილებით განსაზღვრული წესით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით" განსაზღვრულ ოპერატორთან - თბილისის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირთან - ერთად, შეგროვებისთანავე მოახდენს სეპარირებული ნარჩენის გადამუშავებას და შესაბამის ტრანსპორტირებას, რაც მუნიციპალიტეტს გამოუთავისუფლებს შესაბამის რესურსებს.

ასევე, მითითებული ცვლილების საშუალებით გაიზრდება, აუქციონში მონაწილეობის სურვილის მქონე პირთა რიცხვი და დაინტერესება აღნიშნული ნარჩენების შეძენის კუთხით, რაც როგორც უკვე აღინიშნა მუნიციპალიტეტს აარიდებს თავიდან მითითებული ნარჩენების შესაძლო დაგროვებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში და ნაცვლად არსებული წინა სამუშო დღის 18 საათისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა.

აღნიშნული ცვლილების საჭიროება განპირობებულია პრაქტიკაში შექმნილი რიგი გარემოებების გათვალისწინებით, რა შემთხვევაშიც არსებული რეგულაცია აღმოჩნდა პრობლემური.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის ამოღებას, რომლითაც რეგულირებულია განვადებით სარგებლობის ინსტიტუტი. მითითებული რეგულაციის ამოღება რელევანტურია დადგენილებიდან, რადგან პრაქტიკაში განვადებით სარგებლობის მექანიზმი არ გამოიყენება და ამასთან, მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს არც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება და არც სხვა ნორმატიული აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში შედის მითითებული ცვლილებები.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.